Student Journal of Social Sciences

სტუდენტთა ჟურნალი

სოციალურ მეცნიერებებში

№24, ივნისი, 2023

ფემიციდი - გამოწვევები სოციალური მუშაობის პრაქტიკისა და განათლების პერსპექტივიდან

ანა ენდელაძე

ელენე ელბაქიძე

სოციალური მუშაობის საბაკალავრო პროგრამა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Email: Ana.endeladze091@sps.tsu.ge

Email: Elene.elbaqidze852@sps.tsu.ge

აბსტრაქტი

ფემიციდი მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ადგილობრივ და საერთაშორისო კონტექსტში, რომელიც არის ადამიანის სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი უსაფრთხოების ძირითადი უფლებების დარღვევა და სოციალური და ეკონომიკური განვითარების დაბრკოლება. ტერმინი მიუთითებს ქალის ან გოგოს განზრახ მკვლელობაზე მისი სქესის გამო. ესაა ინდივიდის, ინტერპერსონალური ურთიერთობების, სტრუქტურული უსამართლობისა და თანასწორობის, საზოგადოებისა და საზოგადოების დონეზე არსებული კომბინირებული რისკ-ფაქტორების საბოლოო შედეგი. მისი გამომწვევი ფაქტორები, როგორიცაა-გენდერული როლების დისბალანსი, კულტურული და რელიგიური კონტექსტი, ქალთა უფლებების დაკნინება და სხვ., პირდაპირპროპორციულად უკავშირდება სოციალურ მუშაობასა და მის ძირითად ღირებულებებს-ადამიანთა უფლებების დაცვას, სოციალური თანასწორობის ხელშეწყობასა და დისკრიმინაციული მიდგომის აღმოფხვრას. სოციალური მუშაკების როლია იმუშავონ ფემიციდის პრევენციაზე, გაზარდონ საზოგადოებაში ცნობიერება და გაუწიონ ადვოკატირება მაკრო, მეზო და მიკრო დონეზე. მსოფლიოსა და მათ შორის, საქართველოში, მზარდი სტატისტიკის კვალდაკვალ იზრდება სოციალური მუშაობის მნიშვნელობა ფემიციდის შემთხვევებზე. სწორედ ამიტომ, ჩვენი კვლევის მიზანია განვსაზღვროთ სოციალური მუშაობის როლი ფემიციდთან მიმართებით და გამოვკვეთოთ პრაქტიკოსი სოციალური მუშაკებისა და სოციალური მუშაობის მიმართულების სტუდენტების დამოკიდებულებები თუ საჭიროებები. კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური მუშაობის მიმართულების სტუდენტები და ქალებთან მომუშავე პრაქტიკოსი სოციალური მუშაკები. კვლევისათვის გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები-ფოკუს ჯგუფი და სიღრმისეული ინტერვიუ, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი გახდა მრავალფეროვანი გამოცდილებებისა და მოსაზრებების ანალიზი. კვლვევამ აჩვენა, რომ ფემიციდის საკითხებთან მიმართებით სოციალური მუშაობა მრავალი გამოწვევის წინაშე დგას, როგორიცაა-საზოგადოების დამოკიდებულება, სერვისების ნაკლებობა და მედიის მუშაობა ეთიკური პრინციპების არასათანადო გათვალისწინებით. განისაზღვრა, რომ სტუდენტები საჭიროებენ მეტ ინფორმირებულობას. გარდა ამისა, გამოიკვეთა ქალისა და მამაკაცის, კულტურისა და რელიგიის როლი ფემიციდის ფარგლებში.

საკვანძო სიტყვები: ფემიციდი, სტუდენტი და პრაქტიკოსი სოციალური მუშაკების დამოკიდებულება ფემიციდთან დაკავშირებით, სოციალური მუშაკის როლი, ფემიციდის პრევენცია.

შესავალი

საკითხის აქტუალობა

ფემიციდი გლობალურ პრობლემადაა აღიარებული, რომელიც მრავალ მნიშვნელოვან და კომპლექსურ ფაქტორს უკავშირდება.ის ღრმად იდგამს ფესვებს გენდერული უთანასწორობის, ეკონმიკური პრობლემების, სტერეოტიპების, დისკრიმინაციისა და ქვეყნის ტრადიციების შედეგად, რომლებიც სრულადაა დამყარებული პატრიარქალურ საზოგადოებრივ წყობაზე. ფემიციდი მოიცავს გენდერული ნიშნით ჩადენილ ქალთა მკვლელობას, თუმცა ქალის ყოველი მკვლელობა არ არის ფემიციდი. საჭიროა გამოვლინდეს გენდერული ძალადობა, დისკრიმინაცია, ქალთა უფლებების შელახვა, მათი როლის დაკნინება, მესაკუთრეული დამოკიდებულება, კონტროლი და ამავე მიზეზებით თვითმკვლელობამდე მიყვანა (ავალიანი, 2019). მიუხედავად სხვადასხვა ორგანიზაციების აქტივობისა, რომლებიც ქალთა უფლებადამცველებად გვევლინებიან, ფემიციდის შეჩერება ვერ მოხერხდა. 2021 წლის მონაცემებით, მსოფლიოში ქალთა მკვლელობის 45,000 შემთხვევა დაფიქსირდა მათივე პარტნიორისა და ოჯახის წევრების მხრიდან (ძმა, მამა, ბიძა და სხვ.) (UN WOMEN, 2022). ფემიციდს წინ უძღვის ქალზე ფიზიკური, ეკონომიკური, ფსიქოლოგიური თუ სექსუალური ძალადობა, რომლის საბოლოო შედეგიც მათი მკვლელობაა.

საქართველოში ქალთა გენდერული ნიშნით მკვლელობები და ძალადობა სავალალო შედეგებს იძლევა. 2014 წელს, თბილისის მასშტაბით გაიცა 902 შემაკავებელი და 87 დამცავი ორდერი.ქალთა მიმართ ძალადობა 2014 წელს მოიცავდა 471 შემთხვევას ფიზიკური ძალადობისა და 816 შემთხვევას, როგორც ფიზიკურის, ასევე ფსიქოლოგიურის (ნანუაშვილი, 2015). აღსანიშნავია, რომ 2015 წლიდან დღემდე საქართველოში იზრდება ოჯახში პარტნიორის მხრიდან ქალებზე ძალადობის მაჩვენელი. 2018 წლამდე დაფიქსირდა ძალადობის 6,464 შემთხვევა და 89 მკვლელობა (IDIF,2018). დღევანდელი მონაცემები გამოძახილია ქალთა უფლებების დარღვევისა და ფემიციდის პრობლემურობის სიმძაფრისა. 2014 წლიდან დღემდე გვხვდება ქალის მკვლელობის 186 შემთხვევა, რომელიც ძირითადად ოჯახურ მიზეზებთან იყო დაკავშირებული, 94 შემთხვევა ჩადენილი იყო სხვადსხვა მოტივით, ხოლო ქალთა მიმართ მკვლელობის მცდელობის მაჩვენებელი, რომელიც განპირობებული იყო სხვადსხვა მიზეზით შეადგენს 50-ს (შენგელია,2022).

მნიშვნელოვანია, რომ ფემიციდი მოითხოვს სოციალურ მუშაკთა ყურადღებასა და სოციალური მუშაობის სფეროს გაუმჯობესებას პრევენციული ღონისძიებებით. სოციალური მუშაკები სხვადსხვა სახელმწიფო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებში აქტიურად მუშაობენ ქალთა ძალადობის აღმოფხვრისა და უფლებების დაცვისათვის. დღესდღეობით მრავალი არასამთავრობო ორგანიზაცია არსებობს საქართველოში (მაგ: „საფარი“, „თანასწორობის მოძრაობა“, „WISG” და სხვ.), რომლებიც სოციალური მუშაკების ჩართულობით მოქმედებენ ქალთა ძალადობისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ. სოციალური მუშაკები ფემიციდს ებრძვიან ქალთა გაძლიერებით, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებით, სოციალური სამართლიანობის ხელშეწყობით,ქალების მაქსიმალური დაცვითა და მათი ადვოკატირებით სხვადსხვა დონეზე. ისტორიულად დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდნენ სოციალური მუშაკები, რათა დაეცვათ ინდივიდთა უფლებები და

გადაეჭრათ მნიშვნლოვანი პრობლემები. სოციალური მუშაობა გაძლიერების საუკეთესო ინტერვენციებისკენაა მიმართული (A.B LEE, 2001).

გამოიკვეთა, რომ აღნიშნულ საკითხებში სოციალური მუშაობის როლი დიდია, თუმცა ნაკლებად განიხილება სოციალური მუშაკების დამოკიდებულება, ხედვა და გამოწვევები ქალთა გენდერული ნიშნის მკვლელობებთან დაკავშირებით. ეს იწვევს მნიშვნელოვანი ინფორმაციების დაკარგვასა და ფემიციდის რისკების შეუფერხებელ ზრდას. საყურადღებოა, რა თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას იღებენ სტუდენტი სოციალური მუშაკები უნივერსიტეტში სწავლების პერიოდში. ამგავრი ფაქტროების გამოვლენა დაგვეხმარება გამოვკვეთოთ გამოწვევები და ფემიციდის პრევენციისათვის საჭირო საკითხები. კვლევის შედეგები შესაძლოა გამოყენებულ იქნას შესაბამისი ცვლილებების განხორციელებისათვის, ვინაიდან გამოვლენილია პრობლემები სახელმწიფო სტრუქტურებისა თუ საზოგადოების დონეზე, რომელიც აფერხებს ქალთა გენდერული ნიშნის მკვლელობების აღმოფხვრასა და სოციალური მუშაკების ეფექტურ ფუნქციონირებას.

ლიტერატურის მიმოხილვა

ნაშრომი ეყრდნობა ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომების კონცეპტუალურ ჩარჩოს, რომელიც ნორმატიულად ეფუძნება ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტებს და გამოიყენება ადამიანის უფლებათა დაცვის ხელშეწყობაში. ადამიანის უფლებათა დაცვა ძალიან მნიშვნელოვანი მიდგომაა. ის ითვალისწინებს ფუნდამენტურ უფლებებს, რომლებიც თითოეულ პიროვნებას გააჩნია მიუხედავად რასისა, ენისა, კანის ფერისა, რელიგიისა, სქესისა, წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა თუ სხვ. ადამიანები იბადებიან სიცოცხლის, თავისუფლების, აზრის გამოხატვის, კანონის წინაშე თანაბარი მოპყრობისა და სხვა უფლებებით, რაც იმას ნიშნავს,რომ არ შეიძლება მათი უარყოფა(ადამიანის უფლებების დაცვის სამდივნო, 2017). აღნიშნული უფლებები არაერთ დოკუმენტშია მოცემული, მათ შორისაა სტამბულის კონვენციაც, რომელიც მოიაზრებს გენდერული ნიშნით ძალადობას, თუმცა ტერმინი ‘’ ფემიციდი’’ არ გამოიყენება.აქედან გამომდინარე არსებობს არაერთი გამოწვევა (Johansson, 2021).

ფემიციდს, როგორც თანდაყოლილ ძალადობას, ნაწილობრივ აღიარებს ადამიანის უფლებათა კანონმდებლობა. მიუხედავად იმისა, რომ ‘’უფლებათა საერთაშორისო კანონპროექტი’’ მოიცავს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტსა და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პრაქტიკას, სრულად ვერ განსაზღვრავს ქალთა უფლებების დარღვევას. აღნიშნული კანონმდებლობა ითვალისწინებს ანტიდისკრიმინაციულ მიდგომას, თუმცა ის არ მოიაზრებს გენდერული ძალადობის ფორმებს-იძულებით ქორწინებას, იძულებით სექს-მუშაკობას, ადამიანთა ვაჭრობას, ოჯახში ძალადობასა და გაუპატიურებას. ადამიანთა უფლებათა კანონმდებლობაში საერთოდ არ არის განხილული აღნიშნული საკითხები(Hefti, 2022).

მაშასადამე, ფემიციდი, როგორც ქალთა გენდერული ნიშნით ძალადობის უკიდურესი გამოვლინება, გავლენას ახდენს მსოფლიოს ყველა ქვეყნის მდგომარეობაზე, რომელიც

გადაუჭრელი რჩება სახელმწიფოს მიერ შემუშავებული მექანიზმების მიუხედავად. ამას ადასტურებს ფემიციდის საგრძნობლად დიდი მაჩვენებელი მსოფლიოს მასშტაბით. 2021 წლის მონაცემებით პარტნიორისა და ოჯახის მხრიდან ჩადენილი ქალთა მკვლელობების რიცხვი ყველაზე მაღალი იყო აზიაში (17 800), შემდეგ მოდის აფრიკა (17 200), ამერიკა (7500) და ევროპა (2500). მიუხედავად საგრძნობლად დიდი მაჩვენებლისა, ფემიციდი გაცილებით ფართო მასშტაბისაა, თუმცა მისი ყველა მსხვერპლი ჯერ კიდევ არ არის აღრიცხული და არ მოიპოვება საკმარისი ინფორმაციები (UN WOMEN, 2022).

ფემიციდის შემთხვევებს წინ უძღვის ხანგრძლივი ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური ძალადობა. ქალები პარტნიორის/მეუღლის მხრიდან მესაკუთრეული დამოკიდებულების გამო განიცდიან ზეწოლას და ეზღუდებათ თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობა. გამოვლენილი ფემიციდის შემთხვევების წინარე ისტორიაში იკვეთება, რომ ქალებს მიუმართავთ ძალადობის საკითხებზე სამართალდამცავი ორგანოებისთვის და რეაგირების მიუხედავად, მოძალადეები არღვევდნენ შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებულ პირობებს. 2019 წლის მონაცემებით, ფემიციდის 10 საქმიდან წინარე მიმართვები გამოიკვეთა 4 საქმეში (საქართველოს სახალხო დამცველი, 2020).

ფემიციდის მაპროვოცირებელი შესაძლოა იყოს ოჯახის ღირებულებების დაცვა და რეპუტაციის შენარჩუნება. სწორედ ამიტომ გვხვდება გაუპატიურების, ქორწინებამდე სქესობრივი კავშირის, ორსულობისა და სხვა ფაქტორების გამო ჩადენილი მკვლელობები მამაკაცების მხრიდან. ამას ადასტურებს მსოფლიოს ჯანმრთელობის ორგანიზაციის მონაცემები (2012), რომლის მიხედვითაც მსოფლიოში ყოველწლიურად „ღირსების“ სახელით 5000 მკვლელობა ხდება. ქალთა უმეტესი ნაწილი მოკლულია ცეცხლსასროლი იარაღით, დახრჩობისა და დაჭრის გზით.

შემდეგ მნიშვნელოვან გამომწვევ ფაქტორს წარმოადგენს სოციუმში არსებული მოსაზრებები ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით. საზოგადოება ჯერ კიდევ ემხრობა მათზე ფიზიკური ზიანის მიყენებასა და ქალებისათვის ჩარჩოების დაწესებას პარტნიორის მხრიდან, რომლის მიზეზი შეიძლება იყოს კულტურული კონტექსტი, სოციუმში დამკვიდრებული ღირებულებები და სტერეოტიპები. ამის გამომხატველია საქართველოს 2018 წლის კვლევა, რომლის მონაცემებით მამაკაცთა 31%-ს მიაჩნია, რომ ცოლის ცემა გამართლებულია მათთვის ობიექტური მიზეზებისა და გარემოებებიდან გამომდინარე (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, 2021).

საინტერესოა, რომ კოვიდ პანდემიის პირობებში ოჯახის წევრებს შორის გაიზარდა კონფლიქტი და დაძაბულობა. იზოლირებულმა ცხოვრებამ გამოიწვია სტრესი, ფსიქოლოგიური პრობლემები და ასოციალიზაცია, რაც აისახა ძალადობრივ საკითხებზეც და შეეხო ფემიციდსაც. გახშირდა ფიზიკური ძალადობა და სიტყვიერი შეურაცხყოფა. ქალები გახდნენ დაუცველები, ვინაიდან მეტად შეეზღუდათ მხარდამჭერ გარემოსთან კონტაქტი. სახალხო დამცველის (2021) ანგარიშში გამოიკვეთა, რომ პანდემიის პირობებში გართულდა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მდგომარეობა და გაიზარდა ქალთა მკვლელობის რიცხვი. 2020 წელს სულ დაფიქსირდა ქალთა მკვლელობის 24 და მკვლელობის მცდელობის 27 შემთხვევა.

ფემიციდის შემთხვევაში რისკების ზრდასთან დაკავშირებულია მედიაც. მედიის მეშვეობით ხშირად შუქდება ქალთა ძალადობის საკითხები, რაც განიხილება არაერთი ცნობილი პირის მიერ და ნაკლებად ეთმობა დრო აღნიშნულ საკითხზე ექსპერტთა მოსაზრებებს. შესაბამისად, ქალებზე ძალადობა მედიაში წარმოჩენილი არ არის როგორც სოციალური პრობლემა, არამედ ხშირ შემთხევევაში ხდება მისი რომანტიზება. ასევე შესაძლოა დაირღვეს ის მიდგომები, რომლებიც ამგავრი საკითხების გაშუქებისას უნდა დაიცვას მედიამ, რათა არ მოხდეს პრობლემის პროვოცირება და ზრდა. (ჯავახიშვილი, 2020).

როდესაც ფემიციდი განიხილება, ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს თავად ქალების დამოკიდებულება მათი უფლებების შელახვის საკითხზე. შესაძლოა არასაკმარისი განათლების,ეკონომიკური შესაძლებლობების, სტერეოტიპებისა და არამხარდამჭერი გარემოს გამო ქალები თავადვე მიიჩნევდნენ, რომ ძალადობა უნდა მოითმინონ, რასაც ფატალურ შედეგებამდე მივყავართ. ძალადობის მსხვერპლი ქალები აღნიშნავენ, რომ მომხდარში საკუთარ თავსაც ადანაშაულებდნენ და ეშინოდათ პარტნიორის, რომელსაც ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად იზოლირებული ჰყავდა ოჯახისა და მეგობრებისგან (socialcaretalk, 2020). აღნიშნულ ფაქტს, ხელს უწყობს სამართალდამცავი ორგანოების არამხარდამჭერი დამოკიდებულება. ხშირ შემთხვევაში მათი რეაგირება გამოვლენილ ძალადობაზე დაგვიანებულია. გარდა ამისა, ვერ ხდება ძალადობის ფაქტის ფემიციდთან გაიგივება და გენდერული დისკრიმინაცის ამოცნობა. საყურადღებოა ისიც, რომ სამართალდამცავების მხრიდან გამოვლინდა სტერეოტიპული დამოკიდებულებები ქალების მიმართ (საქართველოს სახალხო დამცველი, 2020).

ფემიციდის პრევენციის საკითხში დიდ როლს ასრულებს კანონმდებლობა და სასამრთლოს მუშაობა. სსკ-ის 53 მუხლის მიხედვით შესაძლებელია გენდერისა და სექსუალური ორიენტაციის მიმართ შეუწყნარებლობის გამო სასჯელის დამძიმება, თუმცა სასამართლო პრაქტიკაში აღნიშნული მუხლი ნაკლებად გამოიყენება. დამამძიმებელ გარემოებად ძირითადად მიიჩნევა ოჯახის წევრის მიმართ დანაშაულის ჩადენა. მიუხედავად იმისა,რომ გამოვლენილია გენდერული მოტივები სასამართლო ვერ აკვალიფიცირებს დანაშაულს ფემიციდად (საქართველოს სახალხო დამცველი, 2020). საქართველოს კანონმდებლობაში ფემიციდი ცალკეულ დანაშაულად არ არის გამოყოფილი, რაც ხელს უშლის საქმის წარმართვასა და დანაშაულის დაკვალიფიცირებას (ავალიანი, 2019).

ვინაიდან , ფემიციდი მოიცავს ადამიანის უფლებების დარღვევას, გენდერულ უთანასწორობას, საზოგადოებაში დამკვიდრებულ სტერეოტიპებსა და ქალთა შეზღუდვა-შევიწროვების საკითხებს, ის უკავშირდება სოციალურ მუშაობას. მათი ეფექტური მუშაობისათვის მნიშვნელოვანია საუნივერსიტეტო საქმიანობის პერიოდში სტუდენტებს კარგად ჰქონდეთ გააზრებული ფემიციდი და სოციალური მუშაკის როლი ამ სფეროში. საინტერესოა სოციალური მუშაობის დამამთავრებელი კურსის სტუდენტებთან ჩატარებული კვლევა, რომლის შედეგები მიუთითებს, რომ სტუდენტები საჭიროებდნენ ინფორმირებასა და ცნობიერების ამაღლებას ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებზე (Black & etc al., 2010).

მნიშვნელოვანია, რომ მიღებული თეორიული ცოდნის მიუხედავად, სოციალური მუშაობის მიმართულების სტუდენტები ვერ ახერხებენ სწორად განსაზღვრონ პრაქტიკული საქმიანობა ძალადობის მსხვერპლ ადამიანებთან მუშაობისას. მათ არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია შეფასებასა და ინტერვენციის დაგეგმვაზე. გამოვლინდა, რომ საჭიროა ცოდნის დონის ამაღლება, თუ როგორ უნდა შეაფასონ და დაეხმარონ ისინი ძალადობის შემთხვევაში დაზარალებულებს (Crabtree-Nelson & etc al., 2016).

უნდა აღინიშნოს, რომ სოციალურ მუშაკთა როლი დიდია ქალთა გაძლიერების კუთხით. მათ შეუძლიათ გაზარდონ საზოგადოების ცნობიერება ქალთა უფლებებისა და დაცვის საკითხებში

ისეთი აქტივობებით, როგორიცაა-მასობრივი შეხვედრები, ლობირება, ადვოკატირება და სხვ.(OLLU,2021). მიუხედავად ამ ყველაფრისა, ქალთა უფლებების დაცვის საკითხსა და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით იკვეთება გარკვეული პრობლემები, ვინაიდან სოციალური მუშაკების ჩართულობა აღნიშნული პროცესების შესწავლაში ფორმალური ხასიათისაა და საჭიროებს კონკრეტული ქმედითი ღონისძიებების გატარებას. გარდა ამისა, პრობლემურია მოძალადესთან მუშაობაც. სავალდებულოა, სოციალურმა მუშაკებმა ამ კუთხით გაიარონ შესაბამისი კურსები (საქართველოს სახალხო დამცველი, 2020).

საყურადღებოა, რომ არ გვხვდება რელევანტური კვლევები, რომლებიც განსაზღვრავდა სოციალური მუშაობის გავლენას, ხედვებს, გამოწვევებსა და ქმედითუნარიანობას ფემიციდის კვალდაკვალ. ასევე არ მოიპოვება განახლებული მონაცემები იმის შესახებ, თუ რას ფიქრობენ სოციალური მუშაობის სტუდენტები ფემიციდზე და რამდენად კომპეტენტურნი არიან ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

მეთოდოლოგია

კვლევის მიზანს წარმოადგენს განვსაზღვროთ სოციალური მუშაობის როლი და გამოწვევები ქალთა გენდერული ნიშნის მკვლელობებთან დაკავშირებით. კვლევის ამოცანებია:

1) დავადგინოთ სოციალური მუშაკების გამოწვევები ქალთა დაცვის საკითხებთან მიმართებით
2) ვიკვლიოთ პრაქტიკოსი და სტუდენტი სოციალური მუშაკების ხედვა ფემიციდის გამომწვევ ფაქტორებთან დაკავშირებით
3) დავადგინოთ სოციალური მუშაობის კურსისა და უნივერსიტეტის როლი ფემიციდთან დაკავშირებულ საკითხებზე

კვლევის მეთოდად გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის მეთოდი-სიღრმისეული ინტერვიუ და ფოკუს ჯგუფი. 3 ფოკუს ჯგუფი ჩატარდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური მუშაობის მიმართულების მე-3 კურსის სტუდენტებთან და 1 ფოკუს ჯგუფი მე-4 კურსის სტუდენტებთან. ფოკუს ჯგუფები შედგებოდა 6-7 წევრისგან. სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა თბილისსა და გორში ქალებთან მომუშავე 10 სოციალურ მუშაკთან, კერძოდ- სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოში, თანასწორობის მოძრაობაში, საქართველოს კარიტასში, საფარსა და ქალთა

ინიციატივების მხარდამჭერ ჯგუში "WISG" მომუშავე სოციალურ მუშაკებთან. ასევე დარგის ექსპერტთან, რომელიც ჩართულია სტუდენტების სწავლების პროცესებში. რესპონდენტებთან ინტერვიუ ონლაინ, ზუმის მეშვეობით განხორციელდა, თუმცა 10-დან 3 სოციალურ მუშაკთან და დარგის ექსპერტთან ინტერვიუ ჩატარდა პირისპირ. სამიზნე ჯგუფებთან გამოვიყენეთ მიზნობრივი შერჩევა და თოვლის გუნდის მეთოდი, რითაც მარტივად დავუკავშირდით რესპონდენტებს. თავდაპირველად ეთიკური პრინციპების დაცვით მივმართეთ ქალთა უფლებების დამცველ ორგანიზაციებს, რომლებმაც დაგვაკავშირეს ამ კუთხით მომუშავე სოციალურ მუშაკებთან.

კვლევის შეზღუდვას წარმოადგენს ის,რომ ფოკუს ჯგუფი და სიღრმისეული ინტერვიუები ძირითადად ჩატარდა ონლაინ,ზუმის მეშვეობით. ასევე შესწავლილია მხოლოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბაკალავრის საფეხურის სოციალური მუშაობის სტუდენტების მოსაზრებები.

შედეგები

ფემიციდი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც აქტუალობას არ კარგავს. საყურადღებოა, სტუდენტი და პრაქტიკოსი სოციალური მუშაკების ცნობიერების დონე ამ საკითხთან დაკავშირებით, რაც სწორი ინტერვენციების დაგეგმვის საფუძველია. მათთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ მაღალია ცნობადობის დონე. სტუდენტთა უმრავლესობამ შეძლო სწორი დეფინიციის დასახელება. როგორც სტუდენტები, ასევე პრაქტიკოსი სოციალური მუშაკები ფემიციდს მოიაზრებენ საქართველოში ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად. ისინი საუბრობენ, რომ ქვეყანაში არსებული მდგომარეობა ხაზს უსვამს აღნიშნული საკითხის სიმძაფრესა და აქტუალობას.

„დღეს, ქალებს, ჩვენს თვალწინ, ავტობუსის გაჩერებასთან კლავენ" (სტუდენტი გოგონა, 20 წლის)

მიუხედავად იმისა,რომ სტუდენტები საუნივერსიტეტო სივრცეში ეცნობიან და განიხილავენ ქალთა ძალადობის საკითხებს, უმრავლესობა ფემიციდთან დაკავშირებულ სიახლეებს იღებს სოციალური ქსელებიდან, კერძოდ „ფეისბუქიდან" და სატელევიზიო მედიიდან. აგრეთვე, აღნიშნავენ, რომ ხშირად სტატისტიკურ მონაცემებს არ ეცნობიან, მაგრამ ფემიციდის გახშირებული შემთხვევებიდან გამომდინარე აქტუალობა და პრობლემის სიმძაფრე მათთვის სრულიად აღქმადია.

„სტატისტიკის ცოდნა არ მჭირდება იმისათვის, რომ დავრწმუნდე მართლა ფემიციდის ქვეყანაში, რომ ვცხოვრობ'"(სტუდენტი გოგონა, 20 წლის).

ფემიციდს მრავალი გამომწვევი მიზეზი აქვს, რომელთაგან დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს კულტურულ კონტექსტსა და გენდერულ უთანასწორობას. არსებული ტრადიციები, ადათები და მენტალური პრობლემები ერთგვარ წამახალისებელ როლს ასრულებს მამაკაცის დომინანტურობის საკითხში, როგორც ოჯახის ინსტიტუტში, ასევე მთლიანად საზოგადოებაში.

,,ეს ადათები განაპირობებს ქალების არასრულფასოვნებასა და მორჩილებას, რომელიც უახლოვდება მონობას და უკვე მონაზე ძალადობა მიღებულია''(დარგის ექსპერტი)

რესპონდენტები მნიშვნელოვნად თვლიან ქალისა და მამაკაცის როლების განსხვავებულობას. მოიაზრებენ, რომ წამყვანია მასკულინურობა და მათი ძალების დემონსტრირება, რაც ვლინდება ქალისა და მამაკაცის მიერ შესრულებული სამსახურისათვის ანაზღაურების რაოდენობაში. კერძოდ, ერთი და იგივე პოზიციაზე, თანაბარი ძალებით შესრულებული სამუშაოს მიუხედავად, ქალებს უფრო ნაკლებს უხდიან მამაკაცთან შედარებით.

„მამაკაცის როლი უფრო წინ დგას, ვიდრე ქალის. თუნდაც ანაზღაურებითი პოლიტიკით ან ოჯახში ვალდებულებების გადანაწილებით“(სტუდენტი გოგონა, 21 წლის)

სოციალური მუშაკები გამოყოფენ ოჯახის როლს, რომელიც სოციალიზაციის მნიშვნელოვანი ინსტიტუტია. მათი აღნიშვნით სწორედ ბავშვობიდან ხდება ჩამოყალიბება იმისა, თუ როგორ აღიქვამენ ქალები საკუთარ თავს მამაკაცის წინაშე. ხშირ შემთხვევაში გოგონებს თავიდანვე უნერგავენ აზრს, რომ ზოგიერთი სახის ძალადობა ნორმალურია მამაკაცის მხრიდან და ოჯახის შენარჩუნება უნდა იყოს მათთვის მთავარი მიზანი.

„ხშირად უთქვამთ: მე თუ ოჯახი მინდა და ვითმენ ძალადობას, სხვა ქალებმაც უნდა მოითმინონ“(პრაქტიკოსი სოციალური მუშაკი ქალი, 32 წლის)

ძალადობის ხელშეწყობა უკავშირდება მშობლებთან ურთიერთობასაც, როდესაც არსებობს ძლიერი დამოკიდებულება მშობელსა და შვილს შორის, არ რჩება არჩევანის თავისუფლება. მშობლები იღებენ მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე გადაწყვეტილებას, როგორიცაა დაოჯახება თუ განათლება და თვლიან, რომ ეს უცვლელი ჭეშმარიტებაა. აღნიშნული განსაკუთრებით ძლიერდება ეკონომიკური დამოკიდებულების დროს, რადგან შვილი ვალდებულია უპირობოდ დაეთანხმოს მშობლის მოსაზრებას. შედეგად ფერხდება თავისუფალი აზროვნება თუ თვითრეალიზების პროცესი.

,,ოჯახშიც ვუბრუნდებით დომინანტობის საკითხს, მნიშვნელოვანია შვილებს მისცენ თავისუფლება. ეს კი ნიშნავს შვილის რეალიზაციას და თვითრეალიზებული ადამიანი არასოდესაა აგრესიული’’(დარგის ექსპერტი)

ოჯახის წევრები ხშირად როლურ მოდელს წარმოადგენენ ბავშვებისათვის. ტრადიციული ოჯახისთვის დამახასიათებელია, რომ მამაკაცს აქვს ოჯახზე ეკონომიკური ზრუნვის ვალდებულება, ხოლო გოგონებს ასწავლიან, რომ დაოჯახება მათი ერთ-ერთი მთავარი მიზანი და მოვალეობაა. შედეგად ისინი საფრთხეში აგდებენ კარიერას, განათლებასა და ეკონომიკურ დამოუკიდებლობას. აღნიშნული აფერხებს მოძალადისგან დახსნას, რამაც შესაძლოა ფემიციდამდეც მიგვიყვანოს.

„ყოფილა შემთხვევა, რომ გოგონას აღარ გაუგრძელებია სწავლა, რადგან რა აზრი აქვს მაინც უნდა გავთხოვდეო. თავიდანვე ჰქონდა ეს ჩანერგილი, რომც ესწავლა გათხოვების შემდეგ არც იმუშავებდა“(პრაქტიკოსი სოციალური მუშაკი ქალი, 34 წლის)

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ქალები აღნიშნული მოსაზრებებით წარმართეევნ ცხოვრებას, ხშირად მათაც კი უჩნდებათ სურვილი სტერეოტიპების დამსხვრევისა, შესაძლოა ისინი შეეწინაღმდეგონ მეუღლეს და დაკისრებული დიასახლისის როლის ნაცვლად, კარიერული

წინსვლა და ეკონომიკური დამოუკიდებლობა აირჩიონ, თუმცა ესეც ხდება საბაბი მამაკაცების აგრესიისა, რასაც ქალთა გენდერული ნიშნის მკვლელობასთან მივყავართ.

„ქალი ოჯახის საქმეებით უნდა დაკავდეს და თუ ამას არ ასრულებს, მამაკაცები ვერ იღებენ ამ ფაქტს და ძალადობას იწყებენ“ (სტუდენტი ბიჭი, 21 წლის).

განხილული საკითხები ეკონომიკურ დამოუკიდებლობასაც უკავშირდება. რესპონდენტთა მოსაზრებებით, ქალები სწორედ ამ მიზეზით ხდებიან დამოკიდებულნი მამაკაცებზე. ეშინიათ, რომ ვერ შეძლებენ სამუშაოს პოვნას, შვილების საჭიროებების დაკმაყოფილებასა და სხვა, რის გამოც მოძალადესთან დარჩენას ამჯობინებენ. ძალადობრივი გარემოს დატოვების შემდეგაც უჭირთ ქალებს დამოუკიდებელ ცხოვრებაზე გადასვლა.

„უჭირთ დამოუკიდებლობა, გადაწყვეტილებების მიღება, ცხოვრების გაგრძელება, რადგან მოძალადე ათვიქრებინებს, რომ ის ვიღაცის დანამატი უნდა იყოს, ვიღაცის მორჩილი უნდა იყოს“ (პრაქტიკოსი სოციალური მუშაკი ქალი, 30 წლის).

ქალის ეკონომიკური სიძლიერე დამხმარე ფაქტორად შეგვიძლია დავასახელოთ, მაგრამ ეს უსაფრთხოების გარანტიას არ წარმოადგენს. ინტერვიუს მსვლელობისას აღინიშნა, რომ ქალის კარგი ეკონომიკური მდგომარეობაც ვერ შეაჩერებს ფემიციდს.

„ეკონომიკური სიძლიერე არაა დამცავი ფაქტორი, ნებისმიერი ფენის ქალს შეიძლება დაუდგეს ფემიციდის პრობლემა“ (პრაქტიკოსი სოციალური მუშაკი ქალი, 46 წლის).

სოციალურმა მუშაკებმა და სტუდენტებმა ფემიციდის ერთ-ერთ გამომწვევ ფაქტორად გამოყვეს საზოგადოების დამოკიდებულებაც. მათი მოსაზრებით, საზოგადოება ნაკლებად ტოლერანტულია და არ უღრმავდება ქალთა ძალადობის საკითხებს, ისინი ძირითადად განიკითხავენ ქალებს და არა მოძალადეებს. ასევე შეინიშნება გულგრილი დამოკიდებულება, ვინაიდან ძალადობის ფაქტი აღიქმება მხოლოდ ოჯახის საქმედ და ნორმალიზებულია სოციუმში. აღნიშნული ფაქტის მომსწრეები არ ატყობინებენ შესაბამის ორგანოებს, რომ საწყის ეტაპზე მოხდეს ჩარევა და ფატალური შედეგების თავიდან აცილება. „სულ არ ჩარევის მომენტია, იმიტომ რომ ეს მათი ოჯახის პრობლემაა და არა ჩვენიო“ (სტუდენტი გოგონა, 21 წლის).

რესპონდენტები გამოყოფენ, რომ თავად მდედრობითი სქესის წარმომადგენლებს არ აქვთ მიმღებლობა ძალადობის მსხვერპლი ქალების მიმართ. ხშირად კრიტიკა და ცილისწამება მოდის ქალებისგან, რომლებსაც ჰყავთ მოძალადე პარტნიორები. ძალადობრივი გარემო მათთვის ნორმალიზებულია, მიუღებელია ამ მიზეზით ცოლ-ქმრული კავშირის გაწყვეტა და საჯაროდ

განხილვა.

„ყველაზე დიდი საშინელებაა, რომ ქალები, ქალების მიმართ არ არიან მხარდამჭერნი“ (პრაქტიკოსი სოციალური მუშაკი ქალი, 36 წლის).

მოძალადის გამართლება და მსხვერპლში მიზეზების ძიება იწვევს დისკომფორტსა და შიშს. შედეგად შესაძლოა მსხვერპლს დასჭირდეს ნაცნობი გარემოს დატოვებაც. გამოვლენილია ისეთი

შემთხევვებიც, როდესაც მსხვერპლს არ ჰყავს მხარდამჭერები და მარტო უწევს გაუმკლავდეს ფორმალურ პროცესებსა თუ ფსიქოლოგიურ სტრესს. ეს ზრდის განქორწინების პროცესში მსხვერპლის დანებებისა და გადარწმუნების შანსს.

„ის შემთხვევებიცაა გოგოსთვის, რომ მხარი არავის დაუჭერია, მის ოჯახსაც კი“ (პრაქტიკოსი სოციალური მუშაკი ქალი, 46 წლის).

წლების განმავლობაში გაუმჯობესდა დამოკიდებულება ქალთა ძალადობასა და ფემიციდთან დაკავშირებით, რომელიც გამოიხატება მიმართვიანობის გაზრდით, ცნობიერების ამაღლებით, საჯარო გამოსვლებითა და ემპათიის უნარის გაღრმავებით. სტუდენტი სოციალური მუშაკები აღნიშნავენ, რომ მათ გარშემო ადამიანები ძირითადად პოზიტიური დამოკიდებულებებით გამოირჩევიან გენდერული თანასწორობისა და ძალადობრივი საკითხების მიმართ. „საბედნიეროდ ჩემს გარშემო ქალისა და მამაკაცის როლს დადებითად უყურებენ“ (სტუდენტი ბიჭი, 20 წლის).

საზოგადოებაში დამკვიდრებული მსგავსი წარმოდგენები აისახება სამართალდამცავი ორგანოების ეფექტურ მუშაობაზეც. ისინი ნაკლებად გამოხატავენ მიმღებლობასა და ემპათიას მსხვერპლის მიმართ, რაც მათი საქმისადმი არაპროფესიონალურ დამოკიდებულებებში ვლინდება. რესპონდენტებმა აღნიშნული დაუკავშირეს ძალადობის ფაქტების უგულებელყოფას, რომლებიც ძირითადად რაიონებში დაფიქსირდა. ვინაიდან იქ დიდი მნიშვნელობა აქვს ნაცნობობას, პოლიცია თავს არიდებს შემაკავებელი ორდერის გამოწერას.

„რაიონებში გაცილებით რთული შემთხვევაა. აქ ყველა ერთმანეთს იცნობს და ერიდებიან შემაკავებელი ორდერის გამოცემას, შეატოვებენ ხოლმე მსხვერპლს მოძალადეს.“ (პრაქტიკოსი სოციალური მუშაკი ქალი, 32 წლის)

გარდა ამისა, აღნიშნავენ, რომ კანონმდებლობა არ პასუხობს ქალების საჭიროებებს, რომელშიც მოიაზრება როგორც პოლიციის ჩართულობა, ასევე შემაკავებელი/დამცავი ორდერების არაპროდუქტიული მუშაობა. შემაკავებელი ორდერი არ წარმოადგენს დაბრკოლებას ძალადობის გამოვლენისათვის, ვინაიდან მოძალადეში აღარ აღძრავს შიშს. ამას ემატება ისიც, რომ ქალები არ ითხოვენ პოლიციისგან ეფექტურ დამცავ საშუალებას, როგორიცაა სამაჯური.

„გამკაცრება უნდა კანონს, თითქოს მიეჩვივნენ შემაკავებელ ორდერებს“ (სოციალური მუშაკი ქალი, 41 წლის).

კვლევის მონაწილეთა მოსაზრებით სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ხშირად ვხვდებით მოძალადის არასათანადო პასუხისგებას, რასაც რესპონდენტები „დაუსჯელობის სინდრომს“ უწოდებენ. ის დაკავშირებულია ძალადობის ნორმალიზებასა და დანაშაულის შემთხვევაში საჭირო პასუხისმგებლობების თავიდან არიდებასთან. აღნიშნული განსაკუთრებით გამოიხატება მამრობითი სქესის მიმართ ლმობიერ დამოკიდებულებაში, მაგალითად: თუ ქალს ძალადობის დასამტკიცებლად სჭირდება ფიზიკური დაზიანებების არსებობა, მამაკაცის სიტყვიერ ჩვენებაზეც

მარტივად რეაგირებენ. თუმცა დაუსჯელობის სინდრომი მეტად ზოგადი ცნებაა, მხოლოდ ფემიციდს არ უკავშირდება. ეს პრობლემა სხვა დანაშაულების მაპროვოცირებელიც შეიძლება გახდეს, მაგრამ ცხადია, რომ მოძალადე ხშირად არ იღებს შესაბამის სასჯელს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საზოგადოებაში ძალადობა ოჯახის ჩვეულ პრობლემად განიხილება.

„ფემიციდის გახშირება ყველაზე მეტად უკავშირდება დაუსჯელობის სინდრომს. ნორმალიზებული გახდა ის, რომ ამის გამო არ ისჯებიან და თუ ისჯებიან ვერ ვხედავთ რა როგორ მუშაობს“ (სტუდენტი გოგონა, 21 წლის).

ფემიციდის გამომწვევ მიზეზებს შორის დასახელდა რელიგიაც, რომელიც არაპირდაპირ მოქმედ ფაქტორად შეგვიძლია განვიხილოთ. რესპონდენტთა აზრით რელიგია საქართველოს საზოგადოებაზე გავლენის მოხდენის მძლავრი მექანიზმია. გამოყოფენ რელიგიურ რიტუალებს, რომლებიც ასახავს კაცის უპირატესობას. მაგ: ჯერ მამაკაცი ეზიარება და შემდეგ ქალი. თუმცა მის დადებით მხარედ აღინიშნა, რომ ის ადამიანებს შთააგონებს შემწყნარებლობასა და სიმშვიდეს, რაზეც მიუთითებს ათი მცნება.

„რელიგიას მნიშვნელოვანი როლი აქვს, რადგან ეკლესიას მეტნაკლებად შეუძლია მასებზე მოახდინოს გავლენა“(სტუდენტი გოგონა, 22 წლის).

ინტერვიუების განმავლობაში გამოიკვეთა მედიის როლი ფემიციდის რისკების ზრდის კონტექსტში. მედიის მხრიდან ხშირად უგულებელყოფილია ეთიკის პრინციპები, რაც მოიაზრებს კონფიდენციალურობის დარღვევას, ფაქტის არასწორად წარმოჩენას სოციალური კონტექსტის ფარგლებს გარეთ, ასევე მეტი ყურადღების გამახვილებას მსხვერპლზე და არა მოძალადეზე. ფემიციდის საკითხებზე საუბრისას დიდი დრო არ ეთმობა დარგის ექსპერტების და კომპეტენტური პირების მსჯელობასაც. აგრეთვე მის დადებით მხარედ გამოიყო ფემიციდის საკითხებზე ინფორმირებულობის გაზრდის შესაძლებლობა.

მას შემდეგ, რაც განვიხილეთ ფემიციდის გამომწვევი ფაქტორები, საყურადღებოა, თავად სოციალური მუშაკები რა ძალებით უპირისპირდებიან აღნიშნულ პრობლემას და რა ფაქტორები აფერხებს ფემიციდის პრევენციას. კონკრეტულად სოცილური მუშაობის როლთან დაკავშირებით ისინი აღნიშნავენ, რომ მნიშვნელოვანია საქმეში ჩართვა, ძალადობის შეფასება, კონსულტაცია, მხარდაჭერა, სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლენა, ინფორმაციის მიწოდება თუ ვის და როგორ უნდა მიმართონ ქალებმა, ასევე გადამისამართება იურისტებთან მათი უფლებების მაქსიმალური დაცვის მიზნით. აგრეთვე, მხარდამჭერი, მზრუნველი გარემოს შექმნის აუცილებლობა და ბენეფიციარის სოციალური თუ ემოციური მდგომარეობის ზედამხედველობაც. საჭიროა მათ არაძალადობრივი გარემოს ჩამოყალიბებას შეუწყონ ხელი, როგორც სათემო სოციალური მუშაობის გაძლიერებით, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულებებში სოციალური მუშაკის როლის გამდიდრებით.

სოციალური მუშაკები საუბრობენ საზოგადოებაში ფემიციდის და მასთან დაკავშირებული საკითხების სენსიტიზაციაზე. ერთ-ერთ ქმედით ნაბიჯად განისაზღვრა სასკოლო სივრცეებში სექსუალურ და რეპროდუქციულ უფლებებზე საუბარი, როლების გადანაწილების საკითხზე

ინფორმირება და სხვ. ისინი თვლიან, რომ საზოგადოებაში უნდა გაღვივდეს ემპათია და მოიმატოს მგრძნობელობამ ქალთა უფლებების დარღვევაზე, ვინაიდან მსგავსი ფაქტები რადიკალურად მიუღებელი გახდეს.

„ერთია ის, რომ იცოდეს რა არის ამ პროცესში დანაშაული და როგორ ისჯება და მეორეა, ეს ემოციურ დონეზეც უნდა იყოს მიუღებელი რამ“ (პრაქტიკოსი სოციალური მუშაკი ქალი, 30 წლის)

დამატებით სტუდენტები აღნიშნავენ, რომ ვინაიდან სოციალური მუშაობის ძირეულ პრინციპს წარმოადგენს ანტიდისკრიმინაციული პრაქტიკა, ეს ითვალისწინებს ქალთა დაცვას ფემიციდისგან. რესპონდენტთა უმრავლესობა ყურადღებას სოციალური მუშაკის განმანათლებლის როლზე ამახვილებდა, რაც მოიცავს საზოგადოებაში ფემიციდთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლებას.

მოცემული როლებისა და საქმიანობის შემაფერხებელი მრავალი საკითხი გამოიკვეთა. პირველ რიგში, განიხილეს სერვისებთან დაკავშირებული გამოწვევები. ბენეფიციარის დახმარებისათვის სოციალურ მუშაკს შესაბამისი მომსახურებები ესაჭიროება, რომლებიც აკმაყოფილებს არსებულ მდგომარეობას.

„სოციალური მუშაკები ვერ განახროციელებენ ნაბიჯებს, თუ სახელმწიფოს დონეზე არ არის სერვისები განვითარებული“ (სტუდენტი გოგონა, 22 წლის)

მათ დაასახელეს თავშესაფრები, რომლებიც ქალებს დამცავი ორდერის მოქმედების ვადაში უკმაყოფილებს ბაზისურ საჭიროებებს, თუმცა დროის სიმცირის გამო ვერ ხერხდება ძალადობის მსხვერპლი ქალების უნარების სათანადოდ გაძლიერება. ეს შესაძლოა მოძალადესთან დაბრუნების მიზეზი გახდეს.

„როცა თავშესაფრიდან გამოდიან ქალები არ არიან სრულად რეაბილიტირებულნი და აღჭურვილი იმით, რომ დამოუკიდებლად შეძლონ ამ პრობლემებთან გამკლავება.“ (პრაქტიკოსი სოციალური მუშაკი ქალი, 35 წლის)

ასევე საყურადღებოა, რომ არსებული სერვისები არის ცენტრალიზებული. თავშესაფრის შემთხვევაშიც ხშირად უწევთ ბენეფიციარებს გარემოს შეცვლა, ვინაიდან სასურველ ტერიტორიაზე ხელმიუწვდომელია მომსახურებები ან ადგილებია არასაკმარისი. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ქალები ხდებიან სისტემაზე დამოკიდებულნი. საქართველოში სერვისები მუშაობს ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე ქალებზე, რაც დაბრკოლებას უქმნის ძალადობის ფაქტების გაჟღერებასა და ფემიციდის პრევენციას. სოციალური მუშაკების თქმით რესურსები მოძველებულია და დღევანდელი რეალობიდან გამოწვეულ საჭიროებებს ვერ აკმაყოფილებს, შესაბამისად ქალთა გაძლიერებისათვის უწევთ საკუთარი სახსრების გამოყენებაც.

„რამდენი ფაქტია იმისა,რომ ინსტიტუციიდან ინსტიტუციაში გადაგვყავს ეს ქალები, ხდებიან სისტემაზე დამოკიდებულნი და იძულებულები არიან რომ ბავშვები მინდობით აღზრდაში გადაიყვანონ“ (პრაქტიკოსი საოციალური მუშაკი ქალი, 41 წლის).

გამოვლინდა, რომ არ არსებობს მრავალფეროვანი მომსახურებები, რომლებიც მოძალადესთან მუშაობას გულისხმობს. მოძალადის უგულებელყოფა კი იწვევს ფემიციდს. ძირითადად დიდი

ყურადღება ეთმობა მსხვერპლს, ხოლო ძალადობის პირველივე გამოვლინებიდან მოძალადის ფსიქოლოგიური, ემოციური მდგომარეობის გაუმჯობესება ნაკლებად პრიორიტეტულია. შესაბამისად მისი აგრესიული ფონი უცვლელია და ამან შესაძლოა ფემიციდამდე მიგვიყვანოს.

„ფემიციდი ხდება მაშინ, როდესაც განრიდების ან დაჭერის შემთხვევაში, არავინ მუშაობს მოძალადესთან. ბრაზი, აგრესია და შურისძიების სურვილი ძირითად შემთხვევაში ისევ არის, რის გამოც შემდეგ უკვე მიდის ფემიციდამდე საქმე.“ (პრაქტიკოსი სოციალური მუშაკი ქალი, 32 წლის).

მათი საქმიანობის პროცესში არსებული გამოწვევები დაუკავშირეს თავად სოციალური მუშაკების რაოდენობასაც. ზოგიერთ რეგიონში ერთ სოციალურ მუშაკს უწევს გაუმკლავდეს ფემიციდთან დაკავშირებულ მრავალ საკითხს, ხოლო ამგვარი შემთხვევების რაოდენობა კიდევ უფრო მატულობს. მართალია მომართვიანობა გაუმჯობესებულია, მაგრამ ვერ ხდება სამუშაოს ადეკვატური გადანაწილება და მუშაობა მეტად რთულდება.

„ბევრი სოციალური მუშაკი უნდა იყოს, ძალიან ძნელია ყველას და ყველაფერს გასწვდე, ვინაიდან შემთხვევები მატულობს, არ იკლებს“ (პრაქტიკანტი სოციალური მუშაკი ქალი, 34 წლის)

სტუდენტებს სერვისების შესახებ და მათ ნაკლოვანებებზე არასრული ინფორმაცია აქვთ. უმრავლესობამ აღნიშნა, რომ არსებობს თავშესაფრები, სადაც შესაძლებელია ძალადობა გამოვლილი ქალების განთავსება, მაგრამ არ იცნობენ ფემიციდის პრევენციაზე მიმართულ სხვა სერვისებსა და მათი მუშაობის გზებს.

„ზუსტად არ ვიცი რა მუშაობს ფემიციდის კუთხით, კონკრეტულად ვერ ვიხსენებ, მაგრამ მინდა რომ გავეცნო ამ ინფორმაციას“ (სტუდენტი გოგონა, 20 წლის).

ბუნდოვანია თავად პროფესიის მნიშვნელობა ფემიციდის პრევენციულ საქმიანობებში. სოციალური მუშაობის პროფესია დაკნინებულია, როგორც სოციუმის, ასევე ცალკეულად მედიის მხრიდან. საზოგადოება მათზე და მათ მიერ შესრულებული საქმიანობისადმი ავლენს სექსისტურ დამოკიდებულებას. ფემიციდის შემთხევევბზე მუშაობისას მათი უსაფრთხოებაც ნაკლებად დაცულია.

„გვიწევს გავუმკლავდეთ სექსისტურ სტერეოტიპებს ჩვენს და ჩვენ მიერ შესრულებული საქმის შესახებ. გვიწევს მტკიცება, რომ თუ ქალი ხარ შესაძლებელია იყო შენი საქმის პროფესიონალი.“ (პრაქტიკოსი სოციალური მუშაკი ქალი,40 წლის)

საქმიანობის პროცესში გამოწვევად განიხილავენ თავად მოძალადის როლსაც. ოჯახში ვიზიტის დროს ძალადობის მსხვერპლ ქალთან მარტო დარჩენა რთულდება და შიშის გამო ის ვერ ახერხებს ინფორმაციის მიწოდებას. ეს კი სოციალური მუშაკების მხრიდან ფემიციდის პრევენციას უშლის ხელს.

„ვიცოდი, რომ ქალი ძალადობის მსხვერპლი იყო, თუმცა მოძალადე არასდროს გვტოვებდა მარტო. ერთი-ორჯერ, როცა მარტო დარჩენა შევძელით არ უნდოდა ღიად საუბარი შიშისა თუ სტოლქომის სიდნრომის გამო.“ (პრაქტიკოსი სოციალური მუშაკი ქალი, 31 წლის)

იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მამაკაცი ძალადობისთვის მიიღებს შესაბამის სასჯელს, ქალებს ეშინიათ, რომ სასჯელის დასრულების შემდგომ მათ ან მათი შვილების სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრება. სოციალური მუშაკები იხსენებენ შემთხვევებს, როდესაც ქალებს პარტნიორები სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან მუქარის წერლებით აშინებდნენ, რაც მათ უქმნის დაბრკოლებას, ართმევს გამბედაობას და ხელს უშლის ფსიქოლოგიური ზეწოლისგან გათავისუფლებას. ეს კი რეაბილიტაციასა და პრევენციას აფერხებს.

„არის შემთხვევები, როდესაც მამაკაცი სასჯელაღსრულების დაწესებულებიდანაც არ ჩერდება, წერილებს უგზავნის, ემუქრება. ძალადობის მსხვერპლს კი ეშინია, რომ მეუღლე გამოსვლის შემდეგ რაიმეს დაუშავებს„ (პრაქტიკოსი სოციალური მუშაკი ქალი, 30 წლის).

ფემიციდის შემთხვევებზე საუბრისას, გამოწვევაა ბავშვების მდგომარეობაც, რომელთა თანდასწრებითაც განხორციელდა აღნიშნული ქმედება. ისინი იღებენ დიდ ფსიქოლოგიურ ზიანს, აღარ სურთ მამასთან კონტაქტი, რასაც მოძალადის ოჯახი არ ეგუება. თავის მხრივ, ოჯახის წევრებს სრულყოფილად არ აქვთ გააზრებული მომხდარის სიმძაფრე და მოძალადეს დამნაშავედ არ აღიარებენ. ამგვარი ურთიერთობების აღდგენა ძალიან რთულია. ის დიდ დროსა და რესურსს მოითხოვს.

„არ აქვს ყველას მიმღებლობა, განათლება და არის პრობლემები, იქმნება მტრის ხატი, ეს ურთიერთობები ცივდება და აღდგენა რთულია“ (პრაქტიკანტი სოციალური მუშაკი ქალი, 44 წლის)

სოციალური მუშაკების მუშაობაზე, ინტერვენციების წარმატებით დაგეგმვასა და განხორციელებაზე მოქმედებს სტუდენტი სოციალური მუშაკების საბაზისო განათლებაც ამ საკითხებთან დაკავშირებით, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის უნივერსიტეტს. სტუდენტები აღნიშნავენ, რომ ცალკეული ლექციის მიმდინარეობისას იმართება დისკუსია ქალთა მიმართ ძალადობაზე, მარტოხელა და არასრულწლოვან დედებზე და ამ საკითხთან დაკავშირებულ აქტუალურ მოვლენებზე, თუმცა სოციალური მუშაობის კურსის ფარგლებში კონკრეტულად ფემიციდზე მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღება ნაკლებად ხდება.

„ფემიციდის მიმოხილვას ნაკლებად ეთმობა დრო ლექციის განმავლობაში. თუნდაც სხვადსხვა თემის მიმოხილვისას არ მახსოვს ფემიციდზე გვესაუბრა“ (სტუნდეტი გოგონა, 21 წლის).

სტუდენტების აზრი ორად გაიყო. ნაწილი თვლის, რომ საჭირო სოციალური მუშაობის კურსის ფარგლებში გამოიყოს ცალკეული არჩევითი საგანი, რომელიც დაკავშირებული იქნება ფემიციდთან, გამომწვევ მიზეზებთან და იმასთან, თუ როგორ უნდა იმუშავონ სოციალურმა მუშაკებმა პრევენციისათვის. მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ არაეფექტური იქნება ცალკეული საგნის დამატება და უმჯობესია, თუ ამგვარ საკითხებს სოციალური მუშაობის კურსის ფარგლებში დაეთმობა რამდენიმე სალექციო საათი.

„მნიშვნელოვანია ოთხი კურსის განმავლობაში ერთი ლექცია მაინც დაეთმოს ფემიციდის ფაქტის მიმოხილვას“ (სტუდენტი გოგონა, 20 წლის).

აღსანიშნავია, რომ სოცილაური მუშაობის საბაკალავრო პროგრამის მიზანია სოციალური მუშაობის ზოგადი პრაქტიკოსის მომზადება, რაც გულისხმობს იმას, რომ სტუდენტები იძენენ სოციალური მუშაობის ზოგადი პრაქტიკის საფუძვლებისთვის ძირითად კომეპეტენციებს სავალდებულო საგნების ფარგლებში, ხოლო დამატებითი არჩევითი კურსები მათ საშუალებას აძლევს გაიღრმაონ ცოდნა სხვადასხვა თემასა და კონკრეტულ მიზნობრვ ჯგუფთან დაკავშრებით. ერთ-ერთი ასეთი არჩევითი კურსია ''ძალადობა ოჯახში, პრობლემის სამართლებრივი და სოციალური პერსპექტივა'' (სოციალური მუშაობის საბაკალვრო საგანმანათლებლო პროგრამა, 2023), რომელიც მათ ინფორმაციას აწვდის გენდერული ნიშნით ქალთა ძალადობის საკითხებზეც. თუმცა მოცემული საგანი სრულად ვერ ფარავს იმ თემებს, რომლებიც სტუდენტებისთვის აქტუალურია. ერთი სემესტრი არ არის საკმარისი აღნიშნული საგნის შესასწავლად, ვერ ხერხდება ამ დარგის ექსპერტების მოწვევა სალექციო საათებში დროის სიმწირის გამო, არ არის ხელმისაწვდომი მრავალფეროვანი და განახლებული ლიტერატურაც.

,,ეს საგანი არ უნდა იყოს ხუთ კრედიტიანი, მეორე სემესტრში მოვიყვანდი ექსპერტებს, უფრო ინტესიურს გავხდიდი დებატებს, არ მაქვს იმპროვიზაციების საშუალება. არის რაღაც კვლევები ან წიგნები, რომლებიც 2003 წელსაა გამოცემული, მაგრამ სხვა წიგნი არ გვაქვს ქართულ ენაზე და რა შევთავაზო სტუდენტებს?!'' (დარგის ექსპერტი)

სოციალური მუშაკების თვალსაზრისით, სტუდენტები, მათი შესაძლებლობებიდან გამომდინარე უფრო აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულები ცნობიერების ამაღლებაში. ისინი ფიქრობენ, რომ ფემიციდთან დაკავშირებული საკითხები უნდა გასცდეს სოციალური მუშაობის კურსის ფარგლებსაც.

მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტების ინტერესი იზრდება აღნიშნულ საკითხზე და მეტ საბაკალავრო ნაშრომსა თუ კვლევას უკავშირებენ ქალთა მიმართ ძალადობას, მწირი რესურსის გამო სიღრმისეულად ვერ შეისწავლება მოცემული თემის სპეციფიკა. იმისათვის, რომ გამოავლინონ ახალი და მნიშვნელოვანი საკითხები, საჭიროა უნივერსიტეტში კვლევითი ნაწილის წახალისება.

,,უნივერსიტეტი გარდა სწავლებისა, კვლევის ადგილიცაა. უფრო დიდი დაინტერესება იქნება ამ თემაზე თუ უნივერსიტეტი დააფინანსებს კვლევით ნაწილს'' (დარგის ექსპერტი)

უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს სტამბულის კონვენციის სწავლება სოციალური მუშაობის კურსის ფარგლებს გარეთ. ეს საკითხი არ არის საკუთრივ მხოლოდ სოციალური მუშაობის, შესაბამისად მნიშველოვანია ზოგადად ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება.. უნივერსიტეტი უნდა სთავაზობდეს სტუდენტებს აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებულ ტრენინგებს, სემინარებს, აქტიურად უნდა მიმდინარეობდეს მრავალფეროვანი ლიტერატურის მოძიება და მიწოდება. საერთაშორისო დოკუმენტების ანალიზი მათ დაეხმარება აიმაღლონ ცნობიერება და ველზე მუშაობისას აღმოფხვრან სტერეოტიპებზე დამყარებული ინტერვენციები.

რესპონდენტები განიხილავენ პრობლემების გადაჭრის გზებსაც. მათი უმრავლესობა აღნიშნავს, რომ საჭიროა გაიზარდოს სერვისების რაოდენობა, რათა ეფექტური გახდეს სოციალური მუშაობის

ფარგლებში ინტერვენციების განხორციელება. მაგ: ხშირად განსაკუთრებულ დამხარებას საჭიროებს ძალადობის ფაქტის შემსწრე ბავშვი, ხანდაზმული თუ შშმ პირი და მათთვის არ არსებობს საკმარისი მომსახურებები. ასევე მნიშვნელოვანია სახელმწიფომ იკვლიოს მოქმედი სერვისების ეფექტურობა, სასამართლო პრაქტიკები, ფემიციდის მსხვერპლი ქალების ასაკობრივი, რეგიონული და ჯგუფური სეგრეგაციები.

სოციალური მუშაკები ისურვებდნენ, რომ მხოლოდ მათ კომპეტენციაში არ შედიოდეს ფემიციდის პრევენცია და ქალთა დაცვისათვის მეტ პასუხისმგებლობას იღებდნენ სხვადსხვა უწყებები, როგორიცაა სახელმწიფო ინსტიტუტები, სამართალდამცავი ორგანოები, მედია, სკოლა, ჯანდაცვის სისტემა და სხვ.

„ყველა ერთად უნდა დავდგეთ, ჩვენ ჯადოსნური ჯოხი არ გვაქვს. თუ სისტემა არ გვიწყობს ხელს, მხოლოდ სოციალური მუშაობა ვერაფერს გახდება“ (პრაქტიკოსი სოციალური მუშაკი, 44 წლის).

გარდა ამისა აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. მის ხელშემწყობ ფაქტორად დაასახელეს სკოლებში პოლიციისა და სოციალური მუშაკების საინფორმაციო შეხვედრები. გამოყვეს კანონის გამკაცრების საჭიროება, როგორც მოძალადეებისათვის, ასევე მედიის კუთხითაც, ვინაიდან მეტად იყოს დაცული მსხვერპლის პირადი სივრცე. ფემიციდის საკითხებზე არ უნდა განიხილებოდეს ძალადობის გამართლებისა და მსხვერპლის დადანაშაულების რაიმე მიზეზი. საჭიროა წახალისდეს სოციალური მუშაკის მიერ შესრულებული საქმიანობა, გაიზარდოს სოციალურ მუშაკთა რაოდენობა და ანაზღაურება. საუბრობენ გრძელვადიანი მიზნებისათვის გამართულ კამპანიებზეც, რომელთა მეშვეობითაც სოციალური მუშაკები ხმას მიაწვდენენ რეგიონის მაცხოვრებლებსაც, სადაც მრავლადაა ტრადიციული, დახურული ოჯახები. მათთვის დამახასიათებელია ძალადობის ფაქტის მოთმენა. ამგვარი კამპანიის შედეგებში კი მოიაზრება გარკვეულწილად, როგორც ცნობიერების, ასევე ფემიციდის რისკების ზრდის საკითხების ცვლილება.

დასკვნა

კვლევის შედეგად გამოიკვეთა ფემიციდთან დაკავშირებული მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი სოციალური მუშაობის თვალსაწიერიდან. თემის აქტუალობიდან გამომდინარე, მაღალია სტუდენტი სოციალური მუშაკების ცნობიერების დონე ქალთა გენდერული ნიშნით მკვლელობებზე. სტუდენტი და პრაქტიკოსი სოციალური მუშაკები ფემიციდს ერთ-ერთ მთავარ პრობლემად მიიჩნევენ, რომლის გამოწვევებიც კავშირშია სხვადსხვა ფაქტორთან, როგორიცაა- კულტურული ასპექტები და გენდერული თანასწორობა. ეს მოიაზრებს მამაკაცის დომინანტურობას ოჯახსა და საზოგადოებაში და გოგონებისათვის ძალადობის ნორმალიზების დასწავლას. მნიშვნელოვანია, საზოგადოების არატოლერანტული დამოკიდებულებაც, რის გამოც ძალადობის ფაქტი ოჯახის პრობლემად მიიჩნევა, თუმცა სხვა წლებთან შედარებით მომართვიანობა გაზრდილია და დადებითად იცვლება საზოგადოების შეხედულებებიც. ფემიციდზე მოქმედ ფაქტორებს განეკუთვნება სამართალდამცავი ორგანოების მუშაობაც. ამ კუთხით კანონი არ არის მკაცრი და

შემაკავებელი ორდერი ვერ აფერხებს მოძალადეს. რელიგიისა და მედიის გავლენაც მნიშნელოვანია. ქალთა გენდერული ნიშნით მკვლელობის გაშუქება სცდება ეთიკის პრინციპებს და ძირითადად სენსაციურ ხასიათს იღებს. რაც შეეხება რელიგიას, ყურადღება გამახვილდა ზიარების პროცესზე, რომელიც მამაკაცის დომინანტურობას უსვამს ხაზს. სოციალურ მუშაკებს დიდი წვლილი მიუძღვით აღნიშნული პრობლემების აღმოფხვრაში. მათ ძირითად როლს წარმოადგენს: ქალთა გაძლიერება, მხარდაჭერა, ადვოკატირება, ინფორმირება და შემთხვევების ეფექტური მართვა. მათი საქმიანობა მიმართული უნდა იყოს ფემიციდის სენსიტიზაციაზე ემპათიურობის გაზრდის მიზნით. თუმცა პროფესიულ ჭრილში სამუშაოს შესრულებას ხელს უშლის სერვისების ნაკლებობა. სახელმწიფოს დონეზე არსებული სერვისები ცენტრალიზებულია და აკმაყოფილებს მხოლოდ საბაზისო საჭიროებებს. გამოიკვეთა, რომ არ არსებობს მომსახურება, რომელიც მუშაობს მოძალადესთან ფსიქოლოგიური და ემოციური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის. რესურსების პრობლემასთან ერთად, მუშაობას აფერხებს სოციალური მუშაკების მცირე რაოდენობაც. გამოწვევაა ისიც, რომ საზოგადოება, ინფორმირებულობის ნაკლებობის გამო, მათ მიმართ ავლენს სექსისტურ და სტერეოტიპულ დამოკიდებულებას. საყურადღებოა, რომ სტუდენტებს არ აქვთ სრულყოფილი ინფორმაცია რესურსების არსებობასა და პრევენციულ ღონისძიებებზე. უნივერსიტეტი კურსის ფარგლებში საჭიროებს მცირე ცვლილებებს, რათა მეტი ინფორმაცია მიიღონ სტუდენტებმა კონკრეტულად ფემიციდზე. გარდა სოციალური მუშაობისა, მნიშვნელოვანია, სხვადასხვა ფაკულტეტზე შეისწავლებოდეს საერთაშორისო დოკუმენტები, რომლებიც ხელს შეუწყობს ფემიციდზე ცნობიერების ამაღლებას. გამოვლენილი გამოწვევების აღმოფხვრა გააუმჯობესებს ფემიციდის პრევენციას. მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს სოციალური მუშაობის ჭრილში ფემიციდსა და ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებულ კვლევებს. მათი როლის წარმოჩენის კუთხით უნდა გაძლიერდეს პრაქტიკაზე დაფუძნებული კვლევა.

ბიბლიოგრაფია:

ადამიანის უფლებების დაცვის სამდივნო. (2017). მოკლედ უფლებების შესახებ. მოპოვებულია: https://myrights.gov.ge/ka/my%20rights/on%20human%20rights

ავალიანი,თ. (2019) ფემიციდის, როგორც გენდერული დისკრიმინაციით მოტივირბეული დანაშაულის, კვალიფიკაციის პრობლემები კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი. თბილისი, საქართველო.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (2023) სოციალური მუშაობის საბაკალვრო საგანმანათლებლო პროგრამა. თბილისი, საქართველო. მოპოვებულია; https://www.tsu.ge/assets/media/files/17/BA%202023%20%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90/BA_%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98_%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%A8%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90_2023.pdf

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (2018) საქართველოში ოჯახში ძალადობის სტატისტიკა. თბილისი, საქართველო. მოპოვებულია:

https://idfi.ge/ge/domestic_violence_statistics_in_georgia?fbclid=IwAR0oyssP3Ph79uK7gx5169ZudmnP9cyiKmfOFoyK2WuB8WiQg_gDo59hv9o

მახლი,ს. (2019) ქალების მიმართ ძალადობის დასრულება: გენდერული ნიშნით ძალადობის წინააღმდეგ აქტივიზმის 16 დღე, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია.თბილისი, საქართველო. მოპოვებულია:

https://georgia.un.org/ka/45008-kalebis-mimart-dzaladobis-dasruleba-genderuli-nishnit-dzaladobis-cinaaghmdeg-aktivizmis-16

ნანუაშვილი,უ. (2015) ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა საქართველოში, სახალხო დამცველი, თბილისი, საქართველო. მოპოვებულია:

https://georgia.unwomen.org/sites/default/files/Field%20Office%20Georgia/Attachments/Publications/2015/geo%203.pdf

საქართველოს სახალხო დამცველი (2020) ფემიციდის მონიტორინგის ანგარიში 2018, Public defender (ombudsman) georgia. მოპოვებულია: https://www.ombudsman.ge/res/docs/2022070609293527273.pdf

საქართველოს სახალხო დამცველი (2020) ფემიციდის მონიტორინგის ანგარიში 2019, Public defender (ombudsman) georgia. მოპოვებულია: https://ombudsman.ge/res/docs/2021061415064722095.pdf

საქართველოს სახალხო დამცველი (2021) ფემიციდის მონიტორინგის ანგარიში 2020, Public defender (ombudsman) georgia. მოპოვებულია: https://www.ombudsman.ge/res/docs/2022070609293527273.pdf

შენგელია,ს. (2022) ფემიციდი, საქართველოს პროკურატურა. თბილისი, საქართველო. მოპოვებულია:

https://pog.gov.ge/uploads/eb6f7f93-Femicide.pdf?fbclid=IwAR0AtGVEHjSN08G5K-tT42OL1kYR7UJWMj7q4MJrzr4wsUVpKXs6W6x80cg

ჯავახიშვილი,ლ. (2020) ფემიციდის გაშუქების პრაქტიკა ქართულ სატელევიზიო მედიაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.თბილისი,საქართველო. მოპოვებულია:

https://www.researchgate.net/publication/343905562_pemitsidis_gashukebis_praktika_kartul_satelevizio_mediashi?fbclid=IwAR2ylmWLmXWtW-p4aS7Tp1n29hRgh6sK7YfckiRWhbDlxUTHXiHUDZmruQM#pf2d

Black, M. Weisz,N & Bennet,W. (2010) graduating social works students perspectives on domestic violence. მოპოვებულია:

https://www.researchgate.net/publication/249686046_Graduating_Social_Work_Students'_Perspectives_on_Domestic_Violence

Crabtree-Nelson, S. Susan F. Grossman. & Lundy,M. (2016) A Call to Action: Domestic Violence Education in Social Work. Oxford University Press, 359-361.

Hefti, A. (2022). Conceptualizing Femicide as a Human Rights Violation. Edward Elgar Publishing Limited, 5-6. მოპოვებულია: https://deliverypdf.ssrn.com/delivery.php?ID=798074116064006078070080075003119011061088038065086068107116103011029011100095116105106042008122106100015017108112003024121090007083095016044094030070001089011092006051093045126126028008106124030004065104065124089092071084007127069091081029120074118093&EXT=pdf&INDEX=TRUE

Johansson, F. (2021). Femicide as a Form of Gender-Based Violence Against Women in International Human Rights Law. მოპოვებულია: https://www.diva-portal.org/smash/get/diva2:1635723/FULLTEXT01.pdf

Lee,A.B. (2001) The empowerment approach to social work practice, Colubmia university press, New York. მოპოვებულია:

https://books.google.ge/books?hl=en&lr=&id=mG_oNVQU8cAC&oi=fnd&pg=PR11&dq=Empowerment%20of%20women%20by%20social%20workers&ots=7fLfbpne-r&sig=ZId8wVArHyI8sJE28PdwLaAmbdE&redir_esc=y&fbclid=IwAR05mvMABrrPXtd-az8wbPJEhbCPWNcX9tVrDA01oRxbE4C2k-qLdJ7XhzQ#v=onepage&q=Empowerment%20of%20women%20by%20social%20workers&f=false

Our Lady of the Lake University (2021) How Social Workers Help Women Living in Poverty. მოპოვებულია:

https://onlineprograms.ollusa.edu/resources/article/how-social-workers-help-women-in-poverty/?fbclid=IwAR0AtGVEHjSN08G5K-tT42OL1kYR7UJWMj7q4MJrzr4wsUVpKXs6W6x80cg#:~:text=Social%20workers%20can%20advocate%20for,Advocating%20can%20take%20many%20forms

Socialcaretalk (2020) Women's experiences of Domestic Violence and Abuse. მოპოვებულია: https://socialcaretalk.org/womens-experiences-domestic-violence-and-abuse/getting-help-from-family-and-friends-for-domestic-violence-and-abuse

UN WOMAN (2022) Five essential facts to know about femicide. მოპოვებულია: https://www.unwomen.org/en/news-stories/feature-story/2022/11/five-essential-facts-to-know-about-femicide

UN WOMAN (2017) national study on violence against women in georgia. მოპოვებულია: https://georgia.un.org/sites/default/files/2020-05/national%20vaw%20study%20report%20eng.pdf